თბილისი

# დიდება თბილისს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ დედაქალაქს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 242 (11246) | შაბათი, 18 ოქტომბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## ძვირფასო მეგობრებო!

გულითა და სულით მოგილოცავთ დიად სახალხო დღესასწაულს—ჩვენი სახელოვანი თბილისის 1500 წლისთავს.

ეს შესანიშნავი იუბილე ხალხთა ლენინური ძმობის კიდევ ერთი მკაფიო, ნათელი დადასტურებაა!

## თბილისი — ჩვენი ხალხის ეროვნული სიამაყე

1500 როგორც ყველა ხალხს აქვს თავისი ენა, თავისი ეროვნული თავისებურება, ისე ყოველ ქალაქს აქვს თავისი სახე, თავისი ხასიათი, თავისი ისტორია. თბილისი — 1500 წლის ჭაღარა, მაგრამ მარად ჭაბუკი დედაქალაქი განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი გმირული ისტორიით, თავისებური ხასიათით, დიდებული აწმყოთი და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავლის რწმენით.

თბილისის დაბადება ლეგენდად გავიდა ხალხში, სიმღერად იქცა ქართველთა გმირობა და მამაცობა თბილისისათვის ბრძოლაში... ხალხი ამბობს: ქართველ კაცს ცალ ხელში ხმალი ეჭირა, ცალ ხელში საჭრეთელი და ისე აშენებდაო თავის ქალაქს, თავის სამშობლოს....

თბილისის აღორძინების ყველაზე დიდებული, ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელი გადაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქართველი მშრომელები მოძმე რუს ხალხთან, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხებთან ერთად იბრძოდნენ სოციალისტური რევოლუციისათვის. როგორც ყოველთვის, თბილისი იყო ქართველთა ამ ბრძოლის მედროშე.

„მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს! თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა — გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. სერგო ორჯონიკიძე“. ეს დეპეშა იყო მთელი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის გულწრფელი მისალმება ლენინისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, სახელოვანი რუსეთის პროლეტარიატისადმი, რომლებმაც ჩვენს სამშობლოს თავისუფლება მოუტანეს.

1921 წლის 28 თებერვალს ლენინმა თავის სიტყვაში მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმზე საჯაროდ განაცხადა: „თბილისში, უკანასკნელი ცნობებით... საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა“. ხოლო 2 მარტს თბილისში მოვიდა ლენინის წერილობითი მისალმება: „გადაეცით საქართველოს კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“.

მას შემდეგ საქართველო და მისი დედაქალაქი ლაღად იფურჩქნება და ვითარდება. გახედეთ ახლა თბილისს... „ათას ხუთასი წლისა ხარ, გუგუნებს შენი სახელი, სამგორში ფესვი გაიდგი, დიღმის მინდორზე გახველიო“, რომ მიმართავს ქართველი პოეტი... მართლაც რამდენი რამ არის ახალი, საუკეთესო და მომხიბვლელი თბილისში — მტკვრის ორივე სანაპირო თუ აყვავებული მთაწმინდა, ყვავილნარებით, ხეივნებითა და გაზონებით დამშვენებული მაგისტრალები და მოედნები, ახალი გიგანტები თუ მეცნიერების, კულტურისა და განათლების მძლავრი ქსელი...

განსაკუთრებით იცვალა სახე დედაქალაქმა ამ უკანასკნელ წლებში. ვისაც ოთხი წლის წინათ უნახავს საბურთალო, ავლაბარი, ვაკე, ავჭალა, ნაძალადევი — ახლა ვერ იცნობს მათ. რამდენი ახალი მაგისტრალი იქნა გაყვანილი, რამდენი ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა და კიდევ რამდენი შენდება დედაქალაქის მშრომელებისათვის. თბილისის — ხალხთა მეგობრობის ამ უჭკნობი ქალაქის კეთილდღეობისათვის თავდადებით შრომობს თბილისში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი — სახელოვანი მეცნიერები, შრომაში დავაჟკაცებული ნოვატორები, მუშები, ოსტატები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ექიმები, პედაგოგები — ყველა შრომისმოყვარე და მამაცი თბილისელი.

თბილისის ყველა გამარჯვებას, მის ზრდა-განვითარებას ჩვენი ხალხი უმადლის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ჩვენი სამშობლო — საბჭოთა ქვეყანა მიჰყავს წინ კომუნიზმის დიადი მწვერვალებისაკენ.

1500 წლის თბილისი არასოდეს ძირს არ დახრის ამ დროშას, გენიალური ლენინის დროშას, რომელიც საქართველოს მშრომელებმა, მოძმე რუსი ხალხის დახმარებით, ოცდათვრამეტი წლის წინათ ამაყადააფრიალეს თბილისის ცაზე.

დიდება ამ დროშას, დიდება 1500 წლის თბილისს!

მხურვალე სალამი თბილისელებს!

## დიდი დღესასწაული

### თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი საქართველოს დედაქალაქის 1500 წლისთავისადმი

საზეიმო და სადღესასწაულო სანახავია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი.

მკაფიოდ განათებული სცენის სიღრმეში წითელი დროშებით გარემოცულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სკულპტურული პორტრეტები. პროჟექტორთა შუქზე ბრწყინავს თბილისის საიუბილეო ემბლემა: მთაწმინდის ფონზე აღმართული სატელევიზიო კოშკი, ძირს მოჩანს საქართველოს სსრ მთავრობის სახლის სილუეტი. ოქროსფრად ბრწყინავს ღირსშესანიშნავი თარიღი „1500“.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, კ. ნ. გალიცკი, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. როთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, დღესასწაულზე ჩამოსული დელეგაციების წევრები, საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების წარჩინებული ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მელაძე თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესიას გახსნილად აცხადებს.

დიდებულად ჟღერენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა მოხსენებისათვის თბილისის 1500 წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. გ. გეგეშიძეს.

გამოდის თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი ამხ. პ. ბედენაშვილი. ქალაქის მუშათა სახელით იგი მიესალმება სესიის მონაწილეებს.

გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“ თავმჯდომარე ამხ. გ. აბოვიანცი ამბობს, რომ საქართველოს მშრომელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მშვენიერი დედაქალაქ თბილისით.

ტრიბუნაზე ადის საქართველოს მწერლების კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ამხ. ი. აბაშიძე, რომელმაც მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა.

დიდი გრძნობით ლაპარაკობს ძველ, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისზე სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ლ. წულუკიძე.

დარბაზში შემოდის თბილისის გარნიზონის მეომართა დელეგაცია, რომელსაც ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან. გულთბილი მისალმებით მიმართა შეკრებილთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საბჭოს წევრმა გენერალ-ლეიტენანტმა ი. პავლოვსკიმ.

სიტყვას ამბობს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. ბღაჟბა. იგი თბილისის მშრომელებს ულოცავს 1500 წლისთავს.

მისალმების გულითადი სიტყვები წარმოთქვა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. რ. კომახიძემ.

მხურვალედ გაისმა სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ო. ბაღდასარიანის მისასალმებელი სიტყვა.

ერევნის მშრომელთა და მთელი სომხეთის სახელით იგი თბილისს საჩუქრად გადასცემს მხატვრული ხელოსნობის ნაწარმს.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთაგან მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. გ. სანაკოევს. ამხ. სანაკოევი ლაპარაკობს თბილისის პროგრესულ როლზე ოსი ხალხის კულტურის განვითარებაში და თბილისელებს საჩუქრად გადასცემს საქართველოს დედაქალაქის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ქანდაკებას.

დარბაზი თითქოს აყვავებულ ბაღად გადაიქცაო. შემოდის თბილისის პიონერთა დელეგაცია. ისინი ადიდებენ მშობლიურ ქალაქს, ლაპარაკობენ თავიანთ ცხოვრებასა და სწავლაზე, გულითად მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიას ბედნიერი ბავშვობისათვის. გულთბილი მისალმებით გამოვიდნენ თბილისელი პიონერები.

ქუთაისის მშრომელთა სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ტაკიძე.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ტ. ალაჰვერდიევის გამოსვლას.

ამხ. ალაჰვერდიევი აცხადებს, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს ხალხების ერთგული მეგობრობის აღსანიშნავად, თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, აზერბაიჯანელი ხალხის ძველთაძველი ჩვეულებისამებრ, ძღვნად თბილისელებს გადასცემს დოლის ცხენს. იგი აგრეთვე გადასცემს ბაქოელ მენავთობეთა საჩუქარს — ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობსაწმენდი დანადგარების მაკეტს.

ქ. ორჯონიკიძის მშრომელთა სახელით გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტ. ძარასოვი. მან წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და პარტიის საქალაქო კომიტეტის ადრესი.

სესიის მონაწილეებს მხურვალე, გულშიჩამწვდომი სიტყვებით მიმართა ცნობილმა რუსმა მწერალმა, რომან „დიდი მოურავის“ ავტორმა ანა ანტონოვსკაიამ.

საიუბილეო სესია დახურულად ცხადდება. დარბაზში საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომელსაც ცვლის საქართველოს სსრ ჰიმნის მელოდია.

* * *

საიუბილეო სესიის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქინფორმი).

## ძმათა მოლოცვები

### თბილისი. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს, ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, ქალაქ თბილისის მშრომელებს



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტი და მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭო მოსკოვის მშრომელთა სახელით გულითადად მიესალმებიან და ულოცავენ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის თბილისის მშრომელებს თბილისის სახელოვან 1500 წლისთავს, ქალაქი თბილისი მთელი თავისი მდიდარი ისტორიის მანძილზე იყო საქართველოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის დასაყრდენი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის კეთილმყოფელი გავლენით, რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებითა და მხარდაჭერით თბილისის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა ქართველმა ხალხმა, თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, გადააქციეს თავიანთი მშობლიური ქალაქი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და კეთილმოწყობილ ქალაქად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტი და მოსკოვის საბჭო ქალაქ თბილისის მშრომელებს უსურვებენ მიაღწიონ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტი, მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

### ვ. ს. ტოლსტიკოვი,

ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.



ძმური ლენინგრადული სალამი გმირული ისტორიის, მშვენიერი აწმყოს და ნათელი მომავლის მქონე ჭაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისს მისი 1500 წლისთავის დიად დღეს!

ძვირფასო თბილისელებო! გულითა და სულით გისურვებთ ახალ და ახალ გამარჯვებებს მშვიდობის დაცვისა და კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო სახალხო საქმეში!

### ა. დავიდოვი,

კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.



კიევის მშრომელები, მთელი უკრაინელი ხალხი მხურვალედ მიესალმებიან ძვირფას თბილისელებს მზიური საქართველოს დედაქალაქის — სოციალისტური თბილისის 1500 წლისთავის დღეს.

უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობას საუკუნოვანი ისტორია აქვს. დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას, ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის, უკრაინის განთავისუფლებისათვის გმირულად დაცემული ქართველი ვაჟკაცების წმიდა სახელებს გულში ატარებენ უკრაინელი და ქართველი ხალხები.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ძმურ ერთიანობას, საქართველოსა და უკრაინის მარადიულ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს თბილისს!

★

### გაზეთ «კომუნისტის» რედაქციას

თბილისის დაარსების 1500 წლისთავის გამო ვუსურვებთ ქალაქის ყველა მცხოვრებს ახალ დიდ წარმატებებს სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლის საქმეში.

თბილისი მუშათა მოძრაობისა და სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

თქვენი გაზეთის საშუალებით გთხოვთ მიულოცოთ ძვირფას თბილისელ ამხანაგებს შესანიშნავი დღესასწაული. დაე კვლავ წარმატებით იშრომონ თბილისელებმა და ხელი შეუწყონ დიდი საბჭოთა კავშირის შემდგომ გაფურჩქვნას.

გაზეთი „რუდე პრავო“, (პრაღა)



თბილისი, ლენინის მოედანი.

ნახატი ვ. ჯაფარიძისა.



საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს.

მხატვარი უ. ჯაფარიძე.

# ჩვენი დედაქალაქი

გ. გეგეშიძე,
საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი.

ჩვენი სახელოვანი დედაქალაქი თბილისი დღესასწაულობს თავისი არსებობის 1500 წლისთავს. ეს დიდმნიშვნელოვანი თარიღი დაემთხვა ისტორიულ დღეებს, როცა ჩვენი ქვეყანა უმაგალითო პატრიოტული აღმავლობით ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად.

თბილისის 1500 წლისთავის ზეიმი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო დედაქალაქის მშრომელებისათვის, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის.

## 1.

თბილისი უძველესი ქალაქია. ბევრი მისი ტოლი და მასზე უმცროსი ქალაქიც აღგვილა პირისაგან მიწისა ამ 1500 წლის მანძილზე, ბევრი სახელი მისცემია დავიწყებას. თბილისი კი, ეს ჭაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა ქალაქი, ბრძოლასა და შემოქმედებით შრომაში გამოწრთობილი, მტკიცედ დგას და კიდევ უფრო ბრწყინავს ახალი, ბედნიერი ცხოვრების შუქით.

ვინ არ ცდილა თბილისის აოხრებას, ბევრჯერ დანგრეულა მისი ციხე-სიმაგრენი მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში. მაგრამ ქართველი ხალხის მედროშე დედაქალაქი ნანგრევებიდან ცოცხლდებოდა და კვლავ შემოქმედებითი შრომისა და გმირული ბრძოლისაკენ მიუძღოდა ქართველ ხალხს.

თბილისის კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებასა და ქართველი ხალხის ფიზიკურად გადარჩენაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს შეერთებამ რუსეთთან.

მაგრამ ცარიზმი, რომელიც თვით რუსი ხალხისთვისაც საპყრობილე იყო, განსაკუთრებით აფერხებდა რუსეთის განაპირა მხარეების სამეურნეო ზრდას, ახშობდა ეროვნულ კულტურას, ხალხთა შორის აღვივებდა შუღლსა და უნდობლობას.

მეფის რუსეთის მკაცრმა კოლონიზატორულმა პოლიტიკამ ხელი ვერ შეუშალა საქართველოს მოქცეულიყო კაპიტალისტური განვითარების საერთო კალაპოტში.

## 2.

XIX საუკუნის დამლევს კლასობრივი ბრძოლის ისტორიულ ასპარეზზე რუსეთის პროლეტარიატი გამოვიდა. დიდი ლენინის ხელმძღვანელობით პირველად რუსეთში სოციალიზმი შეუერთდა მუშათა მოძრაობას. მალე ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ მაგალითისამებრ ჩამოყალიბდა თბილისის სოციალ-დემოკრატთა რევოლუციური ბირთვი, რომელმაც დიდი რევოლუციური მუშაობა გააჩაღა. ამ ბრძოლაში ყალიბდებოდა და იწრთობოდა პროფესიონალი რევოლუციონერების შესანიშნავი გვარდია, რომელთა მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი. იგონებდა რა თბილისის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას, 1926 წელს ი. ბ. სტალინი ამბობდა: „ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ“. საქართველოს რევოლუციურ არმიაში თბილისის პროლეტარიატი მუდამ იყო მოწინავე მებრძოლი რაზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი ბოლომდე ერთგული.

ცარიზმისა და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ დიდ რუს ხალხთან ერთად შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა ქართველი ხალხი. ეს ბრძოლა 1917 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

მაგრამ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების დახმარებით საქართველოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — მენშევიკებმა, რომლებმაც უფრო მოშალეს და დაანგრიეს ისედაც სუსტად განვითარებული საქართველოს სამეურნეო და კულტურული ცხოვრება.

საბჭოთა რუსეთის დახმარებით საქართველოს მშრომელებმა დაამხეს მენშევიკების კონტრრევოლუციური დიქტატურა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. „საქართველოს დედაქალაქი თბილისი აჯანყებულთა ხელშია... სალამი თქვენ, ქართველო ამხანაგებო, სალამი წითელ თბილისს“ — სიხარულით ამცნობდა მკითხველებს გაზეთი „პრავდა“ 1921 წლის 25 თებერვალს.

## 3.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენ არა მარტო სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გაგვათავისუფლა, არამედ ფართო გასაქანი მისცა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

თბილისის 1500 წლისთავს ჩვენი ქალაქის მშრომელები ეგებებიან ახალი წარმატებებით მრეწველობის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. საქართველოს ცხოვრებაში, ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ცხოვრებაში, უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. ხორციელდება რა ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, ამ უკანასკნელ წლებში სწრაფი ტემპით იზრდება თბილისის ინდუსტრიული ძლიერება. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მწყობრში ჩადგა ახალი ქარხნები და ფაბრიკები. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, რის შედეგადაც მარტო 98 მსხვილი სამრეწველო საწარმოდან მიღებულია 40 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

კარგად დაიწყეს მუშაობა თბილისის სამრეწველო საწარმოებმა 1958 წელს. ქალაქის საწარმოებში თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, მაუდ-კამვოლის კომბინატის და სხვა საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად. დედაქალაქის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე, დღესასწაულის დღისათვის შეესრულებინათ ათი თვის პროგრამა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პატრიოტული ვალდებულება თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს.

## 4.

ამჟამად ჩვენი ქალაქის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. დედაქალაქის ყველა მშრომელი პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დიდი ყურადღება ექცევა თბილისის მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. უკანასკნელ ორ წელიწადში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 3,5 ათასი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე მთელ მეხუთე ხუთწლედში. 1958 წელს თბილისელები სახელმწიფოსაგან მიიღებენ 100 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. წელს მრავალ ასეულ მუშა-მოსამსახურეს გაუუმჯობესდება საბინაო პირობები. მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, განსაკუთრებით მათი უზრუნველყოფა საცხოვრებელი ბინებით კვლავ თბილისის პარტიული ორგანიზაციის უპირველეს ამოცანად რჩება.

ძნელია ჩამოთვლაც კი იმ სამუშაოებისა, რომლებიც ქალაქის კეთილმოწყობისათვის შეასრულეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით გარემოსილმა თბილისის მშრომელებმა. საფუძვლიანად გარდაიქმნა და გაიზარდა თბილისის კომუნალური მეურნეობა. საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების ერთიანი სისტემის შექმნამ, თბილელექტროცენტრალის პირველი და მეორე რიგის მშენებლობის დასრულებამ ძირითადად გადაჭრა თბილისის ელექტროფიკაციის პრობლემა.

სავსებით შეიცვალა მტკვრის სანაპიროები, გრანიტის კალაპოტში ჩაჴდა მდინარე მტკვარი. მის ორივე მხარეს გაყვანილ იქნა ფართო მაგისტრალები, რომლებიც დამშვენებულია ხეივნებით, ყვავილნარებითა და გაზონებით. გაშენდა და დამშვენდა ვაკე და საბურთალო. მდინარე ვერასა და მტკვარს შუა მთის გაჭრამ, მტკვარზე ულამაზესი ხიდის აგებამ, ვარაზისხევში ახალი მაგისტრალის გაყვანამ, გმირთა მოედნის გაფართოებამ წარმტაცი გახადა დედაქალაქის ის ერთ-ერთი ცენტრალური რაიონი.

თბილისის მშრომელებს ახლა აქვთ შესანიშნავი დასასვენებელი ადგილები, ბაღები და პარკები. წელს უნდა დამთავრდეს მშენებლობა ახალი მაგისტრალისა, რომელიც ერთმანეთთან შეაერთებს ვაკისა და საბურთალოს საცხოვრებელ უბნებს.

დამთავრდა ელბაქიძის დაღმართისა და რუსთაველის პროსპექტის მნიშვნელოვანი პუნქტების რეკონსტრუქცია, მთაწმინდა კიდევ უფრო დაამშვენა ახალმა საჰაერო-საბაგირო გზამ. მნიშვნელოვნად იცვლება სახე თბილისის გარეუბნის სოფლებისა, მაღლდება კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

თბილისის მუშები ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეს და ღირსეულად ასრულებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას სოფლად მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის.

უდიდესი ყურადღება ექცევა სახალხო განათლებას, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას.

## 5.

თბილისი ქართული მეცნიერებისა და აზროვნების ცენტრია. 1941 წლიდან აქ არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოში სოფლის მეურნეობა იმდენად განვითარდა და დავაჟკაცდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავზე შესაძლებელი გახდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსება.

თბილისში დაუცხრომლად შრომობს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, მსახიობთა კინომუშაკთა, არქიტექტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი. მათი შემოქმედებითი ზრდა ნათლად გამოვლინდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა მოსკოვში. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ნამდვილი ტრიუმფი.

## 6.

ვზეიმობთ რა ჩვენი დედაქალაქის 1500 წლის იუბილეს, ჩვენ კანონიერი სიამაყის გრძნობით ვავლებთ თვალს განვლილ გზას. კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში მიღწეულმა წარმატებებმა ყველაზე გაბედულ ოცნებას გადააჭარბა, რაც ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ადასტურებს ჩვენი საბჭოთა სოციალისტური წყობილების ურყევ ძალას.

მაგრამ ჩვენი პარტია, დიდი ლენინი გვასწავლიან არ დავჯერდეთ მიღწეულს. კომუნისტურმა პარტიამ იცის, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქალაქის მოსახლეობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ცხოვრების იმ დონისათვის, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება.

პარტიის XX ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა, რომ ჩვენ არ გვჭირდება ნაკლოვანებათა დამალვა, ვინაიდან ჩვენი გენერალური ხაზი სწორია, კომუნისტური მშენებლობის საქმე იზრდება და იმარჯვებს, ხოლო ნაკლოვანებანი მით უფრო ნაკლები გახდება, რაც უფრო ფართოდ ჩავაბამთ მასებს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ ამ სულისკვეთებით მიმდინარეობს ახლა ჩვენს დედაქალაქში პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, დეპუტატთა ანგარიშები ამომრჩევლებისადმი.

ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რომელიც გამოჭედა და გამოაწრთო დიადმა კომუნისტურმა პარტიამ, ყველა ჩვენი წარმატების უტყუარი საწინდარია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი 1500 წლის თბილისი ხალხთა ლენინური მეგობრობის ერთ-ერთი მედროშეა. მას სამართლიანად უწოდებენ ინტერნაციონალურ ქალაქს. აქ მეგობრულად ცხოვრობენ და მოღვაწეობენ მრავალი ეროვნების ადამიანები, თბილისის ზეიმს ქართველების თანაბრად ინაწილებენ რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და უზბეკები, სომხები და აზერბაიჯანელები, ლატვიელები და მოლდაველები, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მოძმე ერი, რომლებიც ერთ მთლიან სოციალისტურ ოჯახს წარმოადგენენ. არ არსებობს მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ეს მტკიცედ შედუღაბებული ოჯახი, შეანელოს მათი ერთიანი შემოქმედებითი შრომა მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის.

## მიიღე ეს საჩუქრები, ჩვენო თბილისო!

✦ თბილისის მრეწველობამ 16 ოქტომბრისათვის შეასრულა ათი თვის სახელმწიფო დავალება და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 100 ლითონსაჭრელი ჩარხი, 10 ჩაის საკრეფი თვითმავალი მანქანა, 9.874 ელექტროავტომატი, 10.500 ელექტროგამშვები, 152 ათასი მეტრი შალის და 919 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 205 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 182 ტონა მზა დაფასოებული ჩაი, 337 ათასი ბოთლი შამპანური, 55 ათასი დეკალიტრი ღვინო და სხვ.

✦ ტყიბულქვანახშირის ტრესტმა 9 ოქტომბრისათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების 10 თვის გეგმა. ახლა ტყიბულელი მეშახტეები იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ 5.000 ტონა სათბობი.

✦ ქუთაისის საელმავლო დეპოში ელექტრომავლების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმა საათში 12 კილომეტრით გაადიდეს, ხოლო ტექნიკური სიჩქარე — 0,5 კილომეტრით. ტყიბულ-ქუთაისის მთიან უბანზე 925 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით 120 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდეს.

✦ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კონსტრუქტორებმა და მუშებმა შექმნეს ახალი მილსაჭრელი ჩარხის — „9158“-ის მოდელი.

✦ ახალციხის თაბაშირის ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 850 ტონა სამშენებლო თაბაშირი.

✦ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ 15 ოქტომბრისათვის გაანაღდა 10 თვის სახელმწიფო დავალება. დაზოგილია 8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1.500 ტონა მარგანეცი. ქარხნის 600-ზე მეტმა მდნობელმა გადამეტებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულებანი.

✦ გურჯაანის რაიონის მშრომელებმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ყურძნის ჩაბარების გეგმა. 15.300 ტონის ნაცვლად მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 19.850 ტონა ყურძენი.

## ქარიშხლიან დღეებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის ბურუსიანი დღე იდგა თბილისში. თოვდა, ხანდახან ცივი ქარი წამოუბერავდა და წვიმანარევი თოვლის ფანტელებს აჩერებდა ზევას.

ციოდა, თუმცა სიცივეს ვერავინ ამჩნევდა, გულში რაღაც სიხარულის ცეცხლი ჩამდგარიყო. ქუჩაში დროდადრო ნაბადმოსხმულ ცხენოსან პოლიციელთა ჯგუფი გამოჩნდებოდა. პოლიციელები აქეთ-იქით ხედვითა და თვალების ბრიალით გაივლიდნენ, ზოგან სახლის ფანჯრებშიც ცდილობდნენ შეჭვრეტას.

ჟანდარმები ვიღაცის კვალს დასდევდნენ.

მაგრამ ამ დღეს ყველაზე ძნელი „დასაჯერი“ იყო ცნობა, რომელიც აბობოქრებული პეტერბურგიდან მოფრინდა. „გაიმარჯვა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, დაემხო ტირანი ნიკოლოზ II“.

ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

ქუჩებში წითელი დროშების ცეცხლმა გაიელვა. ხალხის სწრაფ მოზღვავებას და გუგუნს „ინტერნაციონალის“ გრიალი მოჰყვა.

— დაიშალეთ! — გამწივანი და გაწვრილებული ხმით გაჰკიოდა ვიღაც.

ორატორებმა ყველგან წამოჭყვეს თავი და შეკრებილთა სურვილს მრისხანების ცეცხლი წაუკიდეს.

— ბრძოლა ამით არ დამთავრებულა, ამხანაგებო, ახლა იწყება ბრძოლის ახალი ეტაპი, ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის!

ბოლშევიკი ორატორები ხალხში გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ შემუშავებულ ტაქტიკასა და გეზს განმარტავდნენ.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების გაწეული დიდი მუშაობით დედა თბილისი ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ცენტრი და აკვანი გახდა.

რევოლუციურ აღტყინებასა და აბობოქრებას შემდგომ რეაქციის სუსხიანი ჩრდილი ჩამოაწვა. მთავრობა აღარ ერიდებოდა მუშებთან პირისპირ შეხლასა და უაზრო სისხლისღვრას.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება უფრო მეტი ფრთაგაშლილობით და იმედით შემოიჭრა თბილისის ქარხნებში, მთელ საქართველოში.

მენშევიკების მიერ ალექსანდრეს ბაღში დაღვრილმა მუშათა სისხლმა გამოაფხიზლა ხალხი, შეგუბებულმა მრისხანებამ რკპ (ბ) თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით მოწყობილ პირველი მაისის დღესასწაულზე გოლოვინის პროსპექტზე ამოხეთქა.

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

— გაუმარჯოს ბოლშევიკებს!

— ძირს მენშევიკები! — ისმოდა შეძახილები.

— ს. ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს „1 მაისს ჩვენმა ორატორებმა მოამზადეს მშრომელთა დიდი მასა: ოთხი სატვირთო მანქანა ჩვენი ლოზუნგებითა და პლაკატებით გამოვიდა გოლოვინის პროსპექტზე“.

ბევრი ქარიშხლიანი დღე გადაიტანა მაშინ თბილისმა. მენშევიკური მთავრობის კრიზისმა და ბოლშევიკების ბრძნულმა მოქმედებამ გადაწყვიტა საქართველოში სახალხო აჯანყების ბედი.

დიდი რუსეთისაგან ხსნისა და იმედის ხსივმა შემოაშუქა ხალხთა გულებში, ხოლო 25 თებერვალს სახალხო ზიზღმა და გულისწყრომამ წალეკა მენშევიკი ნაბოლარები, ხალხის მტრები. კრემლში ლენინისა და სტალინის სახელზე ორჯონიკიძის ხელმოწერით ახალი დეპეშა გაიგზავნა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ხოლო სამი დღის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე გამოაცხადა: „თბილისში, უკანასკნელი ცნობებით... საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა!“

* * *

ახლანდელ საიუბილეო დღეებში, როცა თბილისის 1500 წლისთავს ვზეიმობთ, განსაკუთრებით ცხადად აღსდგა ჩვენს მეხსიერებაში თბილისის რევოლუციური წარსული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სულ გამოიცვალა ჩვენი ქალაქი, იგი გაიფურჩქნა და აყვავდა.

კომუნისტური პარტიის მუდმივი მზრუნველობით დიდი იუბილარი კეთილმოწყობილი, წარმტაცი და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა საყვარელ ადგილად იქცა.

კვლავაც წარმატებებს და წინსვლას გისურვებ, საყვარელო დედაქალაქო!

**გ. მჟავანაძე,**
სკპ წევრი 1914 წლიდან.

**ა. ზაკომოლდინი,**
სკპ წევრი 1900 წლიდან.

## მათი სახელი უკვდავია

დგას დღეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი თავისუფალი და ბედნიერი ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე.

ათასხუთასი წლის ქალაქის ყოველი ქვა ძეგლია იმ გმირთა, რომელთა თავგანწირვამ და შეუდრეკელმა ვაჟკაცობამ მრავალჯერ იხსნა იგი მტარვალთა შემოსევისაგან, ნგრევისა და დარბევისაგან. სიამაყით იგონებს ჭარმაგი ქალაქი მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ შვილებს.

სამასი არაგველის მოქნეული ხმალი, ცხრა ძმა ხერხეულიძის მტერთან შერკინება, საქართველოს ლეგენდარული ასულების — თამარ ვაშლოვანელის, მაია წყნეთელის თუ თინა წავკისელის სახელები აღაგზნებდნენ შთამომავლებს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რევოლუციური ბრძოლის ქარიშხლიან დღეებში მშრომელ ხალხთა თავისუფლებისათვის იბრძოდნენ საქართველოს საუკეთესო შვილები, იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ნათელი მომავლისათვის.

მაშინ, როდესაც ფაშიზმის ბნელი ურდოები დაიძრნენ ჩვენი დიადი სამშობლოს წინააღმდეგ, ათეულ ათასობით ქართველი ჩადგა სამშობლოს დამცველ… რიგებში. 1942 წელს, როდესაც მტერი კავკასიონის მისადგომებთან იყო, ფრონტისაკენ დაიძრა ქართული დივიზია. სხვა მრავალ უსახელო გმირებთან ერთად დივიზიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის პოლიტხელმა ვლადიმერ კანკავამ ასახელა სამშობლო თავისი სამაგალითო გმირობით. ის არ შეუშინდა ფოლადში ჩასმულ აურაცხელ მტერს, როგორც ალა მაჰმადხანის ურდოებს არ შეუშინდნენ არაგველები, და უკუაქცია იგი. თვითონ კი სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე როგორც მტრის წინაშე აღმართული გადაულახავი ზღუდე.

სულ უბრალო ადამიანები დიადი მიზნის სამსახურში გმირებად იქცევიან ხოლმე. ახალგაზრდა შოთა გამცემლიძემ სამამულო ომის ძნელი და საშიში გზა განვლო. სანუკვარი მიზანი — გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ იგი … მტერთან უკანასკნელი შეტაკების დროს.

მტრის ტყვიამფრქვევი თავისი სხეულით დაადუმა გიორგი მაისურაძე… იბრძოდნენ უკრაინის ველებზე თუ კენიგსბერგის მისადგომებთან, გადადიოდნენ დნეპრს თუ იერიშით იღებდნენ ბერლინს, მათ იცოდნენ, რომ საბჭოთა ჯარის გამარჯვებას საყვარელი თბილისისათვის ბედნიერება და თავისუფლება მოჰქონდა. მათმა მამაცმა გულებმა და ნათელმა რწმენამ საფუძველი ჩაუყარა თბილისის აყვავებას, დავაჟკაცებას, ძლიერებას. დღევანდელი თბილისის საწარმოები, მეცნიერებისა და ხელოვნების კერები ძეგლებია იმ გმირთა, რომელთა თავგანწირვამ და შეუდრეკელმა ვაჟკაცობამ მრავალჯერ იხსნა საყვარელი დედაქალაქი მტარვალთა შემოსევისაგან.



მთავრობის სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

# თ ბ ი ლ ი ს ი

ლირიკული პოემა

1

ვიცი ბევრი მე დამნატრის: —
თბილისის მზეს ვეზიარე;
პურადობის მზე დამნათის,
გულადობის მზე ბრიალებს;
სიყვარულის მზე მეძახის,
მოსულა და მაერიალებს...
მე თუ გავხდი მისი ღირსი,
აჰა, სიტყვა ჩემებური:
— აი, ჩემი საცხოვრისი,
აქა ცხვება ჩემი პური!
აქ, მტკვრის ზვირთმა მე ყრმა მკოცნა,
ამ ქალაქმა მზარდა მგოსნად...
თუ მიხსენებ — პირში ვარდი!
მიხსენე და... გისვამ სულში!
თითქოს თაფლში გადავარდი,
არა, თაფლის შუაგულში!
ოცნებასებრ უკვდავია
შარავანდი ვარდ-ნათელი,
სიხარულით მსუნთქავია,
სიყვარულის დამნათველი.
ხან მარჯნის ხვავს იხვეტება,
ხან იხურავს მთვარის მანდილს;
ოქროსფერად იხედება,
ელვასავით დარდიმანდი....
აბა ერთი მე წამართვით,
თბილისი და მისი ფერი,
მე დავრჩები მხოლოდ ქვარტლი,
ქია, მტვერი, არაფერი...
შენი ლხინით და ყიჟინით,
შეირხევა ცაში მთვარე,
მზეც დამთვრალა შენი ღვინით,
შენი ეშხის მეჯუფთარე.
მკერდი სხივით დამილურსმე,
შენს შუქურშუქს სად გავექცე?
შენს ვარსკვლავთა ქახქახს ვუსმენ,
შენი ციდან ვიწერ ლექსებს.
მე შინ შესვლა აღარ მინდა,
თბილისის ცავ, ისეთი ხარ,
გესმის, ყველამ ხმა გაკმინდა,
მღერის შენი ქვაც და თიხაც!
შენი ერთი შემოხედვა,
ათი-ათას სევდას ჰკარგავს,
ხოხბის ბინავ, ოქრომკედავ,
ყელიც მისებრ მოგიქარგავს!
ლამაზი ხარ თამარივით,
კაცს დამართავ ელეთ-მელეთს,
შენი პური და მარილი,
შენი აზრი გასწვდა ხმელეთს.
შენი ეშხი უხილავი
ვის და რომელს არ ახსოვდეს?
მომღერალი სულ იყავი,
მომტირალი — არასოდეს!

2

შემოგხარი დღე ცისმარი —
აივნიანს, ხეივნიანს,
შენს ქადრებთან პაემანი
მუდამდღე აქვს კოჯრის ნიავს.
მზისფერ უნაბს, ვარდის რტოებს,
ვაზს სვეტებზე გადმოფენილს, —
ჩემს ტკბილ ყრმობას მივატოლებ,
ჩემს ლექსს, შენი შუქით ფერილს.
შენს ქუჩებში მე დავეძებ
შოთას აჩრდილს ვეფხურ ხალით,
შემომესმის, როგორ მღერის
ყველა შენი მომღერალი,
და შენს ბესიკს, ძველებურად
თუ ედება ცეცხლის ალი,
ჩვენც, თბილისო, გვატორტმანებს
შენი ეშხის ქარიშხალი!

3

ვისი გული გატყდა გრდემლით,
ანუ სულით ვინ დაემხო?
ვინ ჩამოქნა ერის ცრემლი,
ნუთუ ცრემლი ერს არ ეყო?
მოიხსენე, — სულით, ხორცით, —
უსახელო, სახელო,
ვინც გაგზორდა ჩუმი კოცნით:
— თქვენ მშვიდობით, ქვანო, ხენო!

და თვით ისიც, განწირული,
რომ იბრძოდა სული-მწარეთ:
— მთებო, მთებო, მოირღვენით,
თავს დაგვეცით და დაგვფარეთ!
სატანაც და ანგელოზიც
ჩვენ გვებრძოდენ ორივენი.
ბავშვთა კალოს თემურლენგი
აქ ლეწავდა ოროველით...
ვინ, ვინ იტყვის შენს დიდ გარჯას,
რომ თან გული არ დასწოდეს? —
შენ იცნობდი მრავალ ტანჯვას, —
მაგრამ სირცხვილს, — არასოდეს!...
შენი ძნელი და შავი დღე
ბრძოლით ვილას არ აანთებს?
თავ-მოკვეთილ სარდლებს მკითხე,
მკერდ-გაფატრულ გოლიათებს!
შეგინებულ ქალწულ-დედებს,
ბიჭებს ქოჩორსისხლიანებს, —
თუ სიცოცხლე შენსა გამო,
როგორ დავინისლიანეთ.
განა მარტო არაგველნო,
თბილისს სისხლად იახელით? —
რიონელნო, იორელნო,
ალაზნელნო, ლიახველნო,
ქორხელნო, ბერდუჯელნო,
ტეხურელნო, ენგურელნო,
მტკვრელნო, —
მტერთა მუშტის მკვრელნო! —
თქვენ თბილისის უკვდავ ძარღვში
სისხლმდინარედ ჩაიარეთ,
თქვენ დაიფქვით მის წისქვილში,
უკვდავება დაივალეთ.
თუ წინაპართ ბაირაღი
გაცვდა, მცნება არ გავწიროთ,
საქართველოს ზეცის თალი
არ ყოფილა უარწივოდ!

4

რამდენ მტერმა დაუმიზნა
თბილისს შუბი, ისარ-ტყვია,
ვერ გახადა მონად, ხიზნად, —
ამირანის ნაკურთხია!
არც ერთი დღით, არც ერთ წამით
არ ყოფილა იგი მკვდარი.
იდგა სწორედ, ვით ლერწამი
ვით ფოლადის ალამდარი;
როგორც ვეფხვი და არწივი
უკანასკნელ თავგანწირვით. —
იბრძოდა და არ ეცალა
რომ ეთვალა ჭრილობები,
ბევრჯერ ბედი დაეცარა...
იობივით ჭირმომთმენი
იჯდა მტვერში ათას წყლულით,
თითქოს ბედი დარიაზოდეს,
ასჯერ იყო აკუწული,
გასრესილი — არასოდეს!
გინახიათ ღამე ტყეში,
ქარიშხალი, სეტყვა, თქეში,
წვიმა, დელგმა, თავსხმა, რეში?...
დილაზე კი... მოციმციმე
დაწყნარებულ სხივთაბრწყენა,
ისე თბილისს მოზეიმეს,
არც კი ახსოვს ძველი წყენა!
ცეცხლის სულით, კაჟის გულით,
არ უკრთოდა ქარაშოტებს,
ბევრჯერ იყო გულმოკლული,
მაგრამ მკვდარი, — არასოდეს!

5

მიხარიან, რომ სამშობლო
თვალს უსწორებს, მძლედ უყურებს,
დიდ მიზნების,
დიდ ბრძოლების,
დიდ საქმეთა საუკუნეს!
და მეც მისკენ ვიხედები,
ავამღერებ, რაც მან ბრძანა, —
ჩვენ სუყველა იმედები
გაზაფხულმა აგვიმწვანა!
მხოლოდ მისი ნებადართვით
შევაზღვავეთ მარგალიტი,
რუსთავს ჰყვავის რკინის ვარდი,
სამგორში მწიფს მტევან-დიდი;
ზოგმა შრომა დაწერა ქვით,
ზოგმა წარსთქვა ხილთა ქება,
მღერის ცული და წერაქვი,
მტკვარი ცეცხლით იდაგება!
აზრი გუშინ უზიდველი,
დღეს სინათლის ჩქერად ლვივის,
ოცნებაა გუშინდელი,
ხარაჩოდან რაც გვილიმის...

6

დღეს, თბილისის კარიბჭესთან,
მე ვარ ლექსით მასპინძელი,
შემობრძანდით, ყველა ხესთან
გაშლილია სუფრა გრძელი!
მოდით ძმებო, მარნის კარი
ძველებურად კვლავ ჭრიალებს,
ძმობის ღვინო გადაჰკარით,
ყელი ჩაიმაჭრიანეთ!
მოდით, ვიყვნეთ გადაბმულნი,
ვით ფესვები ამ ვაზების, —
ერთ სიტკბოთი დათაფლულნი
საქართველოს ავაზნების!
მოგწონთ განა, მოგწონთ ძლიერ,
საქართველოს ბალთა ფერი?
უკვდავების სუნთქვით — ვძლიეთ
მტერს და ნაცარს, განა ხელით.
მიყვარს ჩვენი მწვერვალები,
ნაბინდარი, სახავერდო,
ჩვენ ზედ ასვლა გვევალება,
რომ ზევიდან გადავხედოთ, —
სიამაყით მთელ მსოფლიოს,
ჩვენს სიმართლეს,
ჩვენს გზას გავლილს,
გზას სისხლიანს და ოფლიანს,
გზას ნაცრიანს
ხანძრის ნავლით.
ბევრი ტყვია გვისრიალია.
მამულის კარს ვკეტდით მკერდით,
დე, იცოდეს ისტორიამ
საამაყო გვქონდა ბედი!
რომ არასდროს არ გვეძინა,
რომ ვიყავით ფეხზე მდგარი,—
რომ ვიდექით მუდამ წინა,
ბევრი ვწურეთ სისხლის მტკვარი!
ამას გვეტყვის ჩვენ თბილისიც, —
ქართლის სულის ალამდარი.
მით მტარვალმა ველარ გვთელოს,
რაგინდ ბადეს არა ჰქსოვდეს,
დაჩოქილი საქართველო
არ იქნება არასოდეს!

7

თუ ასხია ვარდი ვარსკვლავს,
რა შეება ჩემს ლექსს მაშინ?
მე გულში მზეს გავინასკვავ,
მე ჩავისხამ ოქროს ხმაში,
მე სუნთქვა ვარ დღეის დილის,
და ეს ლექსი — ფიცად დავდე, —
გზა ხანძრების, გზა სიკვდილის,
წყვდიადის გზა გაგვითავდეს!
შენც თბილისო, ოქრო სვედე,
ძველი სევდა მოირეცხე,
ბინად ექმენ მუდამ მტრედებს,
მუდამ ჭერი მიე მერცხლებს!
გაიფლინთე მზის ნაფურით,
სურნელით და ვარდის წვენით,
უკვდავებას მინაშური, —
მუდამ დედა იყავ ჩვენი!
მუდამ სახლი იყავ ჩვენი!
სიცოცხლე და სილამაზე, —
საქართველოს გადამრჩენი!...
მინდა შენი წელთაღრიცხვა
კიდევ ბევრჯერ ათასობდეს,
ასე სავსე და ლამაზი,
არ ყოფილხარ არასოდეს!

## დიდი მხატვრების გულისთქმა

⊙ თბილისში რამდენიმე დღე დავრჩი თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში. რამდენიმე საღამო ბაღებში გავატარე მუსიკისა და ქართული სიმღერების მოსმენაში... ქართველები მეომარი ხალხია, მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი განათლება მოელის.

ალ. პუშკინი.

⊙ თბილისის მოგონება როგორღაც მტანჯავს. იქ გატარებული თვე ერთი სასიამოვნოთაგანია ჩემს ცხოვრებაში. მე ნამდვილად გულით შემიყვარდა თბილისი, მისი არაჩვეულებრივად მიმზიდველი ადამიანები.

პ. ი. ჩაიკოვსკი.

⊙ თბილისი ცივილიზებული ქალაქია, დიდი და რჩეული საზოგადოება ჰყავს, აქვს რუსული თეატრი და იტალიური ოპერა.

ლ. ტოლსტოი.

⊙ ..თბილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ — რა მილეთისაც უნდა იყოს კაცი, — მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს...

ი. ჭავჭავაძე.



ცა გაიხსნა, მზე გამოჩნდა, მთამ ნისლები გადიყარა,
თავისუფალ ჰანგებს მღერის მეტეხი და ნარიყალა.

ფოტო გ. რაზმაძისა.

ირაკლი აბაშიძე

## თბილად

თბილისი!

ბევრ ქალაქს არ ჰქვიან დედამიწაზე ისე ზუსტი და, როგორც იტყვიან, ზედგამოჭრილი სახელი, როგორც თბილისს. თბილისში თბილი წყაროებიც რომ არ ყოფილიყო — რის გამოც სინამდვილეში მას ეს სახელი ეწოდა — ჩვენი ქალაქი მაინც იქნებოდა ამ სახელის ღირსი.

თბილისს სხვა სითბო აქვს, თავისებური, თბილისური. ამ სითბოს მარტო ჩვენ, თბილისელები, რომ ვგრძნობდეთ, გასაკვირველი არაფერი იქნებოდა — ყველას ქალაქი უყვარს თავისი — მაგრამ ამ სითბოს სტუმარიც გრძნობს ხოლმე და იგი დიდხანს მიჰყვება მას თავის ქვეყანაში. „ვით ამხანაგი, ისე მიყვარხარ, ჩემო ქალაქოო" — მღერის თბილისზე ნიკოლოზ ტიხონოვი. ამხანაგური, ადამიანური, კაცური სითბო — აი თბილისის თავისებურება.

კეთილი, თბილად მფეთქავი გულით, ხელგაშლილი სტუმართმოყვარე მასპინძელი, თითქოს არასდროს არაფერი სტკენოდეს, თითქოს არასდროს ჭირი და დარდი არ ენახოს, თითქოს არასდროს კვნესა არ ამოხდომოდეს, — მუდამ ტკბილად მოღიმარი, თბილად მოალერსე, როგორც დედა, — ზრუნვაში საყვარლად გათეთრებული, მაგრამ ჯანმაგარი.

იქნებ ამ სითბოში იყოს თბილისის უკვდავების საიდუმლოც. ალბათ ყოველთვის ამ სითბოს ამოჰყავდა მტრის მიერ ათასჯერ დათხრილ თბილისის მიწაზე ახალი ნერგი. აბა რატომ არ გაქრა სიცოცხლე თბილისში მურვან-ყრუსა და ბუღა-თურქის შემოსევის შემდეგ, რატომ არ გაქრა სიცოცხლე თბილისში ლენგ-თემურისა და ჯალალ-ედინის, შაჰ-აბასისა და აღამაჰმად-ხანის თარეშის შემდეგ? რატომ არ დამთავრდა მისი ისტორია დიდი ხნის წინათ, ვარახშისა და ხვარაზმის მსგავსად, ფატეჰპურ-სიკრისა და პომპეის მსგავსად; რომელ ქალაქზე გადაუვლია იმდენ ქარიშხალს, რამდენსაც თბილისზე? ან, ილია ჭავჭავაძის ლექსით რომ ვთქვათ:

## მფეთქავი

„ქართვლის სამკვიდროვ,
ქვეყნის თვალად
დაბადებულო,
რამდენს ვაებას
შენსა თავზედ
გარდაუვლია!...
ეკლიანს გზაზედ შენებრ
სხვასა
რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ
ათასთ წელთ
ბრძოლა მედგარი
გამოევლოს და
სრულიად მტვრად
არ აღგვილიყოს?"

ის სითბო, თბილისური სითბო, მისთა მკვიდრთა მარად ცოცხალი სულის გაუტეხლობა ფენიქსებრ აღადგენდა დანგრევის მეორე დღესვე ჩვენს დედაქალაქს.

მეცხრამეტე საუკუნეში თბილისს არა მარტო ჯანღონე დაუბრუნდა, არამედ მან გაარღვია მუსლიმანური სამყაროს საუკუნეობრივი ბლოკადა და გამოვიდა ევროპული ცივილიზაციის მზეში, რომელსაც ის დიდხნით იყო მოწყვეტილი კონსტანტინოპოლისა და ალექსანდრიის დაცემის შემდეგ.

დღეს თბილისი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია საბჭოთა კავშირში როგორც მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ამას ზედ ერთვის მისებური, თბილისური იერი და თავისებურება, რომელიც განუწყვეტლად იზიდავს მისკენ მრავალ ადამიანს ჩვენი მოძმე ქვეყნებიდან და უცხოეთიდან. თბილისის ნამდვილი აღორძინება დაიწყო საბჭოთა სინამდვილეში.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ტაშკენტის კონფერენციაზე ბევრი აზიელი და აფრიკელი გამოთქვამდა თბილისის ზეიმზე დასწრების სურვილს, და აი დღეს ჩვენს დღესასწაულზე გვესწრებიან არაბები, რომელნიც ცამეტი საუკუნის გავლის შემდეგ ხელახლა მოვიდნენ თბილისში, ამჯერად როგორც ჩვენი აღორძინებული დედაქალაქის სასურველი სტუმრები. ჩვენთან არიან ინდოეთისა და პაკისტანის მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები, იაპონიისა და საბერძნეთის გამოჩენილი სიტყვის ოსტატები.

## გული

თბილისი დღეს ზეიმობს ათასხუთასი წლის იუბილეს. ეს მისი ზეიმი მისი ათასხუთასჯერ გადარჩენის ზეიმია. მას ამ ზეიმისათვის ჭეშმარიტად დიდი საფუძველი აქვს, უწინარეს ყოვლისა თუ გნებავთ ის, რომ იგი ცოცხალია, და მერე დღეს როგორი ცოცხალი.

სულით და გულით მოგესალმებით და გილოცავთ მეგობრებო.

გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი მალა არეს ჰფენია...
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე, ახლა რაოდენია!

გალაკტიონ ტაბიძე

## გორკის შემოსვლა ქართულ მიწაზე

თბილისმა და გორკიმ 1891 წელს აღმოაჩინეს ერთმანეთი. გორკი ერთადერთი კაცია, რომელმაც ყველაზე მეტი გზა გამოიარა ფეხით სანამ თბილისამდე მოვიდოდა. მანამდე მას არც ერთი წიგნი არ ჰქონდა დაწერილი...

„მაკარ ჩუდრა" პირველად თბილისელმა ასოთამწყობებმაააწყეს 1892 წელს.

...საქართველოს სამხედრო გზიდან მძაფრი და ძლიერი ქარი ქროდა. კავკასიის დედაქალაქი ხუთიოდე ვერსის მოშორებით მოჩანდა — ფიქრში იწერებოდა წიგნი, რომელსაც „ჩემი თანამგზავრი" ერქვა.

— მაქსიმ, კონკის სადგურს ხომ ხედავ? აი იქ დაჯექი და დამიცადე... მაგრამ გორკის არ უნდოდა დამჯდარიყო. მის წინ მოჩანდა მთებს შუა მოქცეული თბილისი, პირველი ქალაქი, რომელიც შეიჭრა მის გულსა და ფიქრში. პირველი ქალაქი, რომელიც მალე მის წიგნებშიც შეიჭრა...

დღეს, როცა ახალი, აშენებული და დამშვენებული თბილისის 1500 წლისთავს ვზეიმობთ, ურიგო არ იქნება ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი გორკის თუნდაც ერთ მოთხრობას, რომელსაც „მშვენიერება" ჰქვია და ძველი თბილისის ცხოვრებიდანაა დაწერილი.

ძველი და ახალი თბილისის დასაპირდაპირებლად ხშირად ფოტოსურათებს მიმართავენ ხოლმე, მაგრამ ფოტოსურათი როგორ მოვა სიტყვასთან, მეტადრე თუ ეს სიტყვა ეკუთვნის ისეთ დიდ ოსტატს, როგორიც გორკი იყო.

რაო, რას ამბობს გორკი? — ჩვენ ვიწრო და ჭუჭყიანი შესახვევების ლაბირინთში შევედით. ქვის მაღალი, ნაცრისფერი კედლები, რომლებსაც ძალიან იშვიათად ჰქონდათ ფანჯრები, გოროზად შემოგვცქეროდნენ და მათ შორის დარჩენილი სივრცე თითქოს აყროლებული ლაფისა და ჰაერის სადინარი იყო...

ასე წერდა გორკი ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ. ეს თბილისის წარსულის მძიმე და ბნელი სურათია, დიდი მხატვრის მიერ დახატული, სავსე გულისტკივილითა და სევდით.

მაგრამ სადღაა ნახევრად აზიური ქალაქი თბილისი, მიწაზე მიკრული, რომელსაც წამოდგომა უნდოდა და ვერ წამომდგარიყო? სადღაა ოღრო-ჩოღრო ქვაფენილზე მოჯაყჯაყე ურმები და ფორნები, უფანჯრო ნაცრისფერი კედლები, რომელთა შორის დარჩენილი სივრცე თითქოს აყროლებული ლაფისა და ჰაერის სადინარი არხი იყო?

სადღაა ქუჩებს ადენილი მტვრიანი ბუღი? „მაქსიმ, კონკის სადგურს ხომ ხედავ? აი იქ დაჯექი და მომიცადე — ეს შორეული ხმაა, კონკასავით ძველი და შორეული....

— ჩვენ ნახევრად აზიური ქალაქის ქუჩაზე გავედით და ნელა გავყევით ქვაფენილს ავლაბრისაკენ... ქუჩაში ადამიანების ზღვა იროდა. ისინი ქალაქის ბაღისაკენ მიდიოდნენ, რომელიც მტკვრის ნაპირას გაეშენებინათ. ის იყო ქალაქის ერთადერთი ადგილი, სადაც სულის მოთქმა შეიძლებოდა და ქუჩებს ადენილი მტვრიანი ბუღი ფილტვებს არ ალანძავდა. ოღრო-ჩოღრო ქვაფენილზე ურმები და ფორნები მიჯაყჯაყებდნენ. დახუთული ქალაქის თავზე მორიალე ხმები ერთ მძიმე ამოსუნთქვად ერთიანდებოდნენ თითქოს რაღაცა უზარმაზარს, მიწაზე მიკრულს, წამოდგომა უნდოდა და ვერ ახერხებდა...

მ. გორკი.

მრავალსართულიანი სახლები ცას სწვდებიან, ამდენი ბაღი არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ქალაქში, ბოლო არ უჩანს ავტომანქანების რიგს... თბილისის თავზე „ტუ-104" მიფრინავს, მხარგაშლილია და ფართო თბილისის ქუჩები... სავსე ადამიანების ღიმილითა და მზით. რა გაოცებული იქნებოდა დღეს მაქსიმ გორკი — კაცი, რომელმაც „მშვენიერება" დაარქვა მოთხრობას. თუმცა ეს უფრო მომავალზე ფიქრს ნიშნავდა. იმ ბედნიერ მომავალზე, როცა ნამდვილად მშვენიერი მოთხრობა უნდა დაწერილიყო თბილისზე...

გ. გოგიაშვილი.



თბილისელები.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვიან ღამემდე ზეიმობდა გუშინ თბილისი. ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა გადაიღეს ღამის 12 საათზე, როცა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქმა თხუთმეტ საუკუნეს გადააბიჯა. ფოტო ვ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

# შორეული და ახლობელი

**მცხეთა**, მტკვრისა და არაგვის ხერთვისი. დღეს ერთი შეხედვით არც კი ეტყობა, რომ იგი ოდესღაც საქართველოს დედაქალაქი იყო. მისი მიწა, მისი შემოგარენი სავსეა სახელგანთქმული ძეგლებით.

რამდენ რამეს ეუბნება ქართველი კაცის გულს სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი, ბაგინეთი, სარკინეთი, არმაზი. თბილისი დღითიდღე იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა. უკვე მეხუთე საუკუნეში მცხეთა დიდი თბილის-ქალაქის პატარა მეზობელი იყო.

დღეს, როცა თბილისი თავისი დაარსების ათასხუთას წლისთავს ზეიმობს, საქართველოს პირველი დედაქალაქი — უძველესი მცხეთა ძმურად ართმევს ხელს და მტკვრის ტალღებს აბარებს მისადმი სიყვარულს.

დღეს გახარებული არიან მცხეთის მკვიდრნი. ისინი ყველა ქართველთან ერთად ახალი შემოქმედებითი მიღწევებით ხვდებიან სახელოვანი თბილისის იუბილეს.

ბავშვივით უხარია ეს დღესასწაული ვარდყვავილების მესაიდუმლეს მიხეილ მამულაშვილს. მისეული ყვავილები ამშვენებენ დღეს თბილისის ქუჩებსა და მოედნებს.

თბილისელები კარგად იცნობენ ცნობილ მცხეთელ ფალავანს სანდრო კანდელაკს, რომელსაც ჭიდაობით მრავალჯერ აღტაცებაში მოუყვანია ისინი. იგი დღეს აღტაცებული მოეშურება თბილისში დიდ ზეიმზე დასასწრებად.

ასეთი სიხარული და აღტაცება დაუფლებია დედაქალაქის იუბილეს დღეებში მის ყველაზე ახლობელ მეზობელს, უძველეს მცხეთას.

მაგრამ არც შორეულ ქალაქებს დავიწყებიათ ჩვენი დედაქალაქის დიდი იუბილე.

„...რა დიდებული ქმნილებაა ადამიანი! ან ის ქვეყანა რა იქნება, სადაც ამდენი ადამიანი ცხოვრობს ერთად!“.. კაცის გული რაოდენ სითბოსა და სიყვარულს იტევს, არც მანძილი, არც ენა მათ არ უშლის ხელს გაიზიარონ, გამოხატონ ერთმანეთის სიხარული, ბედნიერება, სილამაზე.

## ხაზზეა სახალინი

**თბილისი** ათასობით კილომეტრით არის დაშორებული სახალინის კუნძულს, მის ქალაქებს, მცხოვრებლებს. მკაცრი და სუსხიანია იქაური ბუნება. ვაჟკაცური, კაცთმოყვარე, სითბოთი სავსეა გულები იმ ადამიანებისა, რომლებიც ამ ზვიად ბუნებაში ცხოვრობენ.

თბილი და საამოა ჩვენებური მზე. თითქოს ამ მზის სხივებით იყოს გამთბარი შორეული სახალინის მცხოვრებთა გული. წუხელ გვიან ღამით ქალაქ იუჟნო-სახალინსკის ალმასკომის თავმჯდომარე ამხანაგი პ. ეგოროვი დაგვიკავშირდა და იქაური ორთქლმავალვაგონშემკეთებლების, მეთევზეების, რკინიგზელების, მეავეჯეების, მოსწავლეების, სტუდენტების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა სახელით მოგვილოცა დიდი დღესასწაული — მშობლიური ქალაქის ა თ ა ს ხ უ თ ა ს ი წლისთავი.

ასეთია საბჭოთა ადამიანის ხასიათი. იგი ჭირსა და ლხინში მოყვასს მხარში უდგას.

**ბ. ბახტურიძე.**

# ყუბანისპირელები თბილისელებს ულოცავენ

კრასნოდარის მხარის თბილისის რაიონის მშრომელები ძმურად მიესალმებიან საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს თბილისის ათასხუთასი წლისთავის გამო.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი რაიონი საქართველოს მზიური დედაქალაქის სახელს ატარებს.

**პ. ვისოკოვი,**

**კრასნოდარის მხარის თბილისის რაიონის პარტრაიკომის მდივანი.**

# ეს არ იყო გუშინ...



თბილისის საჰაერო-საბაგირო გზა...



თბილისის ახალი მაგისტრალი — ხედი რუსთაველის პროსპექტიდან. ნახატი ა. ქოქიაშვილისა.

# დაბადება

ადამიანს ან ქალაქს დაბადების ერთი თარიღი აქვს.

მაგრამ არის ცხოვრებაში ისეთი დღე, როცა ადამიანი თუ ქალაქი დიდ სიხარულს, დიდ მღელვარებას მეორედ დაბადებასავით განიცდის. სწორედ ასეთია ჩვენი ლასიქადულო და სათაყვანო თბილისის, ბედნიერებისა და სიხარულის სატახტოს ათას ხუთასი წლისთავი.

თხუთმეტი საუკუნეა დგას საქართველოს დედა-მდინარის მტკვრის ნაპირებზე ქალაქი, ბევრი ჭირისა თუ ლხინის მოწმე. მაგრამ მისი ახალი ცხოვრების თარიღად ათას ცხრაას ოცდაერთი წლის ოცდახუთი თებერვალი ითვლება. დიდი რუსი ძმის დახმარებით თბილისმა თავისუფლად ამოისუნთქა, მხრები გაშალა. აშენდა, მხარბეჭი დიღმის მინდვრებამდე გაიტანა. მაინც ახალგაზრდაა, უბერებელი, უჭკნობი, ათას ხუთასი წლის ჭაბუკი..

თბილისი ხომ ყოველდღე ლამაზია, ყოველდღე დიადია. მაგრამ აბა იგი დღესასწაულის დღეებში ნახეთ! აბა ათას ხუთასი წლის ზეიმის დროს შეავლეთ თვალი! დღესასწაულის წინა საღამოს დედაქალაქის თავზე დაილევარა ფერად-ფერადი ელნათურების შუქი, ილუმინაციით გაბრწყინდა ქუჩები და მოედნები. ჩქეფს ლამაზი, სისხლსავსე ცხოვრება. ათასობით ადამიანი გამოვიდა გარეთ. ყოველთვის ხომ ასეა: როცა კაცს გულში დიდი სიხარული აქვს, სახლში ვერ ჩაიკეტება. მას სურს, რომ სიხარულის გრძნობებს, როგორც მდინარეს, გზა მისცეს...

განა პირველად სეირნობენ თბილისელები თავიანთი მზეთუნახავი ქალაქის ქუჩებში (მზეთუნახავი სილამაზით, თორემ თბილისს მზე არ აკლია). მაგრამ ისინი ისე ათვალიერებენ თავიანთ ქალაქს, ახალ „ჩოხა-ახალუხში“ გამოწყობილს, თითქოს შორი გზიდან დაბრუნებულ მახლობელ ადამიანს ხვდებიან. ახალი კი ბევრი რამ არის თბილისის ქუჩებში. ზეიმის წინა დღეებში ელბაქიძის დაღმართზე დაიბადა ახალი ქუჩა. დაიბადა ქუჩა და ამ ქუჩაზე უკვე დღესასწაულია.. დაიბადა ახალი გზაც — სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა. ეს გზა უმოკლესია რუსთაველის მოედნიდან ფუნიკულიორის პლატომდე. მაგრამ კარგა ხანია აქვს თბილისს ერთი გზა, ყველაზე დიდი, ყველაზე ნათელი. ეს ჩვენი ახალი, საბჭოთა ცხოვრების გზაა, კომუნიზმის გზა.

თვითონ თბილისის ქუჩები ლაღადებენ დედაქალაქის მეორედ დაბადებას. დიდებულად გამოიყურება თბილისის ცენტრალური ძარღვი — რუსთაველის პროსპექტი. განსაკუთრებით ლამაზია ლენინის მოედანი. როგორც თბილისი საქართველოს გულია, ისე ლენინის მოედანი თბილისის გულია. აქ საბჭოთა ხელისუფლების უძლეველობის სიმბოლოდ დგას დიდი ლენინის ძეგლი. ზეიმის წინა დღეებში ძეგლის ირგვლივ მოედანი ყვავილნარით დაამშვენეს. ყოველი დღესასწაულის დღეს ამ მოედანს უერთებენ წითელი დროშების ტალღებს დედაქალაქის ქუჩები.

ჩვენ თბილისელები ვართ! — რა ამაყად გაისმის ეს სიტყვები. ბედნიერია, ვინც თბილისის მიწაზე, საქართველოს გულში დაიბადა.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. სასიხარულო ამბავი გვაცნობეს: თბილისის № 3 სამშობიარო სახლში დღესასწაულის დღეს დედაქალაქს კიდევ ერთი ახალი მოქალაქე შეემატა: თბილისელ გიგაურს ვაჟი ეყოლა. კეთილი იყოს მისი დაბადება! — იტყვიან ოჯახში და ორი ჭიქა ერთად აიწევა: სადღეგრძელოდ თბილისისა, სადღეგრძელოდ ახალი სიცოცხლისა..

თბილისთან ახლოს, თოხლიაურის გზაზე იდგა ერთი ძველი, ათასწლოვანი მუხა. ეს მუხაც თბილისში ახლად დაიბადა. იგი დედაქალაქში გადმორგეს, თითქმის ამ მუხის ტოლ ქალაქს საჩუქრად მიუძღვნეს.

იყო დრო, როცა მტერი შურით უცქეროდა თბილისის სილამაზეს. იყო დრო, როცა ამ მუხას მუმლი ეხვია. მაშინ შურის ციხე შურმა დალეწა. მაგრამ პოეტის თქმისა არ იყოს —

თუ შურის ციხე შურმა დალეწა,
სიყვარულს ბევრი უშენებია...

მართლაც ბევრი აშენა სიყვარულმა, ძმობამ, მეგობრობამ ჩვენს თბილისში, მრავალი რამ გაალამაზა, ახლად დაბადა!

მოდით, სტუმრებო, ზეიმი აქვს თბილისს, ძმობისა და სიყვარულის დიდი რთველი. და ათას ხუთასი წლის დედაქალაქი დღეს თითქოს კვლავ ახლად იბადება: ისე დიდია მისი სიხარული, ისე დიდია მისი გამარჯვება.

**სტეფანე არღუნელი.**

# თბილისის მარკით

## ორ-სამ დღეში

ხარატი მოტორს რთავს. მძლავრი ჩარხი მოძრაობას იწყებს, ლითონის ნაჭერი სწრაფად იღებს სასურველ ფორმას. და ჩარხის მუშაობით კმაყოფილი ხარატი ამბობს: დაილოცოს — ქართულია, თბილისურია!...

ასე ამბობენ დღეს — ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, — ყველგან, სადაც კი მიდის საქონელი თბილისის მარკით.

დღეს თბილისი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო ცენტრია. ქალაქში არის 100-ზე მეტი დიდი ფაბრიკა, ქარხანა, კომბინატი, რომლებითაც წარმოდგენილია მრეწველობის თითქმის ყველა დარგი — დაწყებული კვების მრეწველობით და დამთავრებული მანქანათმშენებლობითა და მეტალურგიული მრეწველობით. ეს არის კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული და ეკონომიური პოლიტიკის ნაყოფი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ყველაზე დიდი საწარმო იყო რკინიგზის სახელოსნოები, სადაც ორთქლმავლის შეკეთებას ზოგჯერ 2-3 წელიწადს ანდომებდნენ. ახლა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნიდან 2-3 დღეში გამოდის გაჯანსაღებული ორთქლმავალი.

## მეექვსე კონტინენტზე

დღევანდელი თბილისის ინდუსტრიული მაჯისცემა რომ იგრძნოთ, აუცილებელი არც არის სამრეწველო გიგანტებში მიხვიდეთ, საკმარისია რამდენიმე ხანი დაჰყოთ რკინიგზის სადგურზე. თბილისური საქონლით დატვირთული მატარებლები ყოველი მიმართულებით სერავენ ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებს. საქონელს თბილისის მარკით შეხვდებით მეექვსე კონტინენტზეც. ანტარქტიდის მკვლევარებს კარგ სამსახურს უწევს თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივის მიერ დამზადებული მრავალი ხელსაწყო.

ყოველი ქართველი კაცისათვის, ყოველი თბილისელისათვის საამაყოა, რომ ციმბირის მაგისტრალებზე მძიმე წონის მატარებლებს დააქროლებენ პირველი თბილისური ელექტრომავლები, რომ თბილისურ ჩარხებზე ახარატებენ დეტალებს ჩინეთის საწარმოებში, რომ თბილისური მანქანები მუშაობენ ვიეტნამის ჩაის ფაბრიკებში, რომ საქონელი თბილისური მარკით ცნობილი და დაფასებულია ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ინდოეთში.

საქვეყნოდ არის განთქმული ქართული ჩაი, კონიაკი. დალევს ამურელი მეტალურგი ქართულ ჩაის, ნასიამოვნები ერთხელ კიდევ დახედავს კოლოფს, რომელსაც თბილისის მარკა აზის და იტყვის: ქართულია, კარგია. ნახელავს გიქებენ, მშობლიურ ქალაქს გიქებენ — რა უნდა იყოს ამაზე სასიამოვნო და გასახარებელი.

თბილისური კვლავაც ნიშნავდეს — კარგია.

**ა. ხუჭუა.**



# ვადღეგრძელოთ ჩვენი დედაქალაქი

დღეს, როცა მთელი საქართველოს ხალხი დღესასწაულობს საყვარელი დედაქალაქის იუბილეს, თბილისსავით ჭაღარა, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერგიით სავსე ვიქტორ ყრუაშვილი ამაყად გადასცქერის ქალაქს, რომლის ყოველი უბნის თუ სახლის, მოედნის თუ პარკის დაბადება გუშინდელ დღესავით ახსოვს, და მადლობის გრძნობით აღსავსე სიტყვას წარმოთქვამს:

— თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს, თბილისელებო, ჩვენი დედაქალაქის მშენებლებო, — ამბობს მადლიერი მოხუცი, და აღფრთოვანებული იმეორებს ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებს:

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ თბილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა.

## სპორტული ასპარეზობები ზეიმის დღეებში

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ზეიმის დღეებს საქართველოს ფიზკულტურელები მრავალ ასპარეზობას მიუძღვნიან. სტადიონებზე, სასპორტო დარბაზებში, კორტებზე და მოედნებზე გამოვლენ სახელმოხვეჭილი სპორტის ოსტატები, ახალგაზრდები.

საინტერესო იქნება ცხენოსნობა 19 ოქტომბერს ველოდრომზე, სადაც ნაჩვენები იქნება ხტომები; 18 და 19 ოქტომბერს მოეწყობა თბილისის 1500 წლისთავის სახელობის თასის გათამაშების დასკვნითი ასპარეზობები ფეხბურთში. ამავე დღეებში თბილისის ზღვაზე ჩატარდება წყლის დღესასწაული; უძლიერესი სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას ზეიმისადმი მიძღვნილ მოტოგადარბენაში საქართველოს სხვადასხვა რაიონებზე გავლით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მძლეოსნური ამანათრბენი მარშრუტით მცხეთა-თბილისი 18 ოქტომბერს. ამ დღეებს ემთხვევა საქალაქო ჩემპიონატები კალათბურთსა და ჩოგბურთში, ღია რინგი, საჭადრაკო ტურნირები, ველორბოლა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების ასპარეზობა და სხვ.

# ორი მზეთუნახავი

## უცხოელი სტუმრების თვალით

ჩვენს ხალხურ სიმღერებში მე გაგონილი მაქვს სახელი ორი მზეთუნახავისა. ეს მზეთუნახავები არიან ქართველი ქალი და თბილისი. მე ღირსი გავხდი საკუთარი თვალით მენახა ორივე. თურმე არ ტყუოდნენ ჩვენი ხალხური სიმღერები.

ამბობენ თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი ათასხუთასი წლის არისო. არა მჯერა. იგი ლამაზია, ჯანმრთელია, სიცოცხლით სავსე, როგორც თხუთმეტი წლის ქართველი გოგონა.

ქართველო ძ მ ე ბ ო, თბილისელებო, გილოცავთ დღესასწაულს.

**ნაზიმ ჰიქმეთი.**

* * *

სულითა და გულით ვულოცავ თბილისელებს დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი ს 1500 წლისთავს.

ჩემი სამშობლო ინდონეზია და საქართველო ძალიან შორს არიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ჩვენ ერთი მზის ქვეშ ვცხოვრობთ და საერთოა ჩვენი სიხარული.

კვლავ მრავალ 1500 წელს ვუსურვებ საქართველოს ძველთაძველ ქალაქს.

**ანანტა ტური,**

**ინდონეზიელი მწერალი.**

* * *

მივესალმები უძველეს და უმშვენიერეს ქალაქს — თბილისს და ვუსურვებ შემდგომ აყვავებას.

**ემი სიაო.**

**ჩინელი მწერალი.**

* * *

მე ბედნიერება მხვდა II მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოვსულიყავი თბილისში. გაოცებული და აღტაცებული დავრჩი ნანახით. ილუსტრირებული ხელნაწერების შესანიშნავმა კოლექციამ, ოქროსა და ნაჭედი ვერცხლის სამკაულების უძველესმა ნიმუშებმა, როგორც ძველი, ისე ახალი დროის არქიტექტურის მიღწევებმა, ადამიანთა ღირსებამ და სილამაზემ, სიცოცხლით სავსე ქუჩებმა — ყველაფერმა ამან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იმის შემდეგ, რაც მე დავწერე „მოგზაურობა საქართველოში“, თბილისი ჩემი უსაყვარლესი ქალაქი გახდა.

გილოცავთ დღესასწაულს, მეგობრებო!

**რალფ პარკერი,**

**ინგლისელი ჟურნალისტი.**

* * *

ვსარგებლობ ბედნიერი შემთხვევით და გულითადად მივესალმები თბილისელებს, ვულოცავ თბილისის 1500 წლისთავს.

პაკისტანურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მოხსენიებულია ქართული მიწა, რომელიც მზით მოფენილი წალკოტია ოდითგანვე.

მე დიდ სიხარულს მგვრის, რომ ქართველებმა, სხვა საბჭოთა ხალხებთან ერთად, ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრება ააშენეს.

თქვენი დღესასწაულის დიადი შუქი ჩვენს გულებამდე აღწევს.

**ფაიზ აჰმად ფაიზი,**

**პაკისტანელი პოეტი.**



★

# თბილისის ზღვასთან...

ახსოვს ქართველის
ხმალს და მარჯვენას
ბრძოლა დიდგორის,
ბრძოლა შამქორის,
მაგრამ სულ სხვაა
ეს გამარჯვება,
როცა ფენიქსებრ
აღსდგა სამგორი.
მესმის — მოუხმობს
ნიჩაბს ნიჩაბი,
ვხედავ — ებრძვიან
ტალღებს ტალღები.
რა შორს წასულან
ჩვენი ბიჭები,
მენავეები,
მეკატარღენი.

★

# დღეს მოზეიმე

როგორ შვენის თბილისს საზეიმო მორთულობა. ჯერ კიდევ მწვანე ფოთლებით შემოსილ ხეებში უზარმაზარი ყვავილებივით მოჩანს წითელი ტილოები წარწერებით „1500“, სახლების ფასადებზე — იმ ადამიანთა სურათები, რომლებმაც ასახელეს თბილისი და ქართველი ხალხი, გულში ჩამწვდომი მათი სიტყვები.

როგორ დაამშვენა თბილისი მწვანეში ჩასმულმა ახალმა ქუჩამ, რუსთაველის პროსპექტსა და ელბაქიძის დაღმართს რომ აერთებს. ეს სადღესასწაულო საჩუქარია. იქვე, ელბაქიძის დაღმართზე, სულ შეუცვლია სახე პატარა სკვერს, სადაც მებაღეებმა მოაწყეს ქართული სტილით შესრულებული ყვავილნარი. აქ გუშინ გაიხსნა ლამაზად მოწყობილი კაფე. სკვერს ამშვენებს მხატვრული შადრევანი „სამაია“. ესეც სადღესასწაულო საჩუქარია.

გაიხედეთ კომკავშირის ხეივნისაკენ: იქიდან თბილისს გადმოსცქერის კალინინის რაიონის მშრომელთა საჩუქარი—25 მეტრიანი ქანდაკება „დედა-საქართველო“. თბილისის ცაზე სხვა ახალი სანახაობაც არის — კოპწია ვაგონები ბაგირზე დასრიალებენ მთაწმინდასა და რუსთაველის მოედანს შუა. სულ ცოტა ხანი, და ამ საჰაერო-საბაგირო გზით ვივლით სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მთაწმინდაზე.

დღეს ათასობით თბილისელი გაემართება აკაკი წერეთლის პროსპექტზე (ყოფილ ბრძოლის ქუჩაზე) თბილისის 1500

# თბილისში

წლისთავისადმი მიძღვნილი სამრეწველო გამოფენისაკენ, რომელიც 12 საათიდან გაუღებს კარებს მნახველებს. მის ტერიტორიაზე მოწყობილია ყვავილების გამოფენაც, რომელიც პირველია თბილისში.

თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ბევრი გამოფენა გაიხსნა თბილისის მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში. მათგან ყველაზე საინტერესოა გამოფენა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში. საინტერესოა აგრეთვე საიუბილეო საჩუქრების გ ა მ ო ფ ე ნ ა რკინიგზელის სახლში, რომელიც დღეს გაიხსნა.

დღეს და ხვალ დიდი და პატარა, თბილისის მკვიდრი და სტუმარი გამოვა მოზეიმე ქალაქის ქუჩებში. ვინც სტალინის სახელობის სანაპიროზე გაისეირნებს, მდინარე მტკვარზე ნახავს ლამაზ კატერს, რომელიც აჭარის მშრომელებმა მიუძღვნეს იუბილარ დედაქალაქს. ჩვენი საუკეთესო მსახიობები აწყობენ კონცერტებს ხალხმრავალ ადგილებში მოწყობილ სახელდახელო ესტრადებზე. საღამოს კი უკეთესი სანახავი იქნება მრავალფერი ნათურებით გაჩირაღდნებული ძველი ქალაქის ახალგაზრდა ქუჩები.

თეატრებმაც უძღვნეს საჩუქრები ჩვენს ქალაქს. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ახალ სპექტაკლს ლ. გოთუას პიესას „სამსახეობა რაინდისა“, სომხური დრამა — მ. კიკვაძის პიესას „დიმიტრი თავდადებული“, ხოლო ხვალ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი დგამს ა. ბუკიას ახალ ოპერას „არსენას“. რუსთაველის სახელობის კინოთეატრში რეკონსტრუქციის შემდეგ დღეს პირველად იწყება ფართოეკრანიანი ფილმების ჩვენება.

იუბილარისადმი მიძღვნილი საჩუქარია აგრეთვე ახლად რეკონსტრუირებული, ლამაზად მოწყობილი საიუველირო და ბროლის მაღაზიები, სადაც მშრომელები ბევრ ლამაზ ნივთს შეიძენენ თავიანთი მახლობლებისათვის ამ დღის სამახსოვროდ.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

შე 06471 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.